

# საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №180  
2021 წლის 21 ივლისი

ქ. თბილისი

**„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

## მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით (ვებგვერდი, 30/08/2019, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.017230) დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1):

### 1. მე-20 მუხლის:

#### ა) მე-2 პუნქტის:

##### ა.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მამიებლის (შემდგომში – სტატუსის მამიებელი) „განაცხადის“ შემოსავლების სამსახურში რეგისტრაციის თარიღიდან წინა უწყვეტი 3 წლის განმავლობაში:

ა.ა) საქართველოს საბაჟო კოდექსის 167-ე მუხლის მე-4 ნაწილით ან 168-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;

ა.ბ) საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული ერთზე მეტი გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;

##### ა.გ) 2019 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის:

ა.გ.ა) მე-14 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული ერთზე მეტი გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;

ა.გ.ბ) მე-7 და 26-ე ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;“;

##### ა.ბ) „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა<sup>1</sup>“ ქვეპუნქტი:



„ა ) სტატუსის მამიებლის „განაცხადის“ შემოსავლების სამსახურში რეგისტრაციის თარიღიდან წინა უწყვეტი 1 წლის განმავლობაში:

ა<sup>1</sup>.ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 280-ე მუხლით, 282-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს საბაჟო კოდექსის 166-ე მუხლის მე-3 ან მე-4 ნაწილით, 170-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 172-ე მუხლის პირველი ნაწილით ან 176-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;

ა<sup>1</sup>.ბ) იმპორტის გადასახდელის ოდენობის 1 000 ლარზე მეტით შემცირებისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსის 167-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;

ა<sup>1</sup>.გ) 4 000 ლარზე მეტი საბაჟო ღირებულების საქონლის საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან ძალუღწერით გადაადგილებისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;“;

**ა.გ) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) სტატუსის მამიებლის „განაცხადის“ შემოსავლების სამსახურში რეგისტრაციის თარიღიდან წინა უწყვეტი 3 წლის განმავლობაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 155<sup>2</sup> მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;“;

**ა.დ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) გადახდისუნარიანობა და ფინანსური მდგრადობა, რაც ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, თუ:

ე.ა) სტატუსის მამიებლის მიმართ არ არის დაწყებული გადახდისუნარობის/გაკოტრების საქმე;

ე.ბ) სტატუსის მამიებლის „განაცხადის“ შემოსავლების სამსახურში რეგისტრაციის თარიღიდან წინა უწყვეტი 3 წლის განმავლობაში მას აქვს ისეთი ფინანსური მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოშობილი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შესაძლებლობას;

ე.გ) სტატუსის მამიებლის „განაცხადის“ შემოსავლების სამსახურში რეგისტრაციის თარიღისათვის მას არ აქვს აღიარებული საგადასახადო დავალიანება;“;

**ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ა<sup>1</sup>“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობები არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პირის სანქციისაგან გათავისუფლების თაობაზე საბაჟო ორგანოს/დავის განმხილველი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილება.“;

**გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. თუ სტატუსის მამიებლის გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციიდან გასულია 3 წელზე ნაკლები, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ა<sup>1</sup>“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობები მოწმდება არსებულ პერიოდზე. ამასთან, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა<sup>1</sup>“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები არ მოწმდება სტატუსის მამიებლის „განაცხადის“ შემოსავლების სამსახურში რეგისტრაციის თარიღიდან წინა უწყვეტი 1 წელზე მეტ პერიოდზე.“;



დ) მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების შემოწმებისას/კონტროლისას, შემოსავლების სამსახურს უფლება აქვს მოითხოვოს და გაითვალისწინოს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი აუდიტორული დასკვნა. აუდიტი ჩატარებული უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ჩატარების შედეგად მინიჭებული პირველი, მეორე ან მესამე კატეგორიის აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ და ფინანსური მდგრადობის მიზნებისთვის ფინანსურად მდგრადად ჩაითვლება სუბიექტი, რომლის უახლოეს ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემულია აუდიტორული დასკვნა, რომელშიც გამოთქმულია არამოდიფიცირებული მოსაზრება.“.

**2. 24-ე მუხლის:**

ა) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი ვეღარ აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ა<sup>1</sup>“ ან/და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირობებს;“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსს შეაჩერებს 1 წლის ვადით. თუ ამ ვადის განმავლობაში, სტატუსშეჩერებული პირის მხრიდან აღარ ექნება ადგილი ამ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ა<sup>1</sup>“ ან/და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობების დარღვევას, შემოსავლების სამსახური პირის მიმართვის საფუძველზე აღუდგენს შეჩერებულ სტატუსს.“.

**3. 25-ე მუხლის:**

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა<sup>1</sup>“ ქვეპუნქტი:

„ა<sup>1</sup>) აღიარებული საგადასახადო დავალიანების გამოვლენისას (გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს აღნიშნული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება ან „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება)“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „1<sup>1</sup>“ პუნქტი:

„1<sup>1</sup>. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა<sup>1</sup>“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის პირს საბაჟო ორგანოს წერილობითი შეტყობინებით ეძლევა 45 კალენდარული დღის ვადა საგადასახადო დავალიანების დასაფარად. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ამ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება ან „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება), მიიღება გადაწყვეტილება ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის გაუქმების შესახებ.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

